

გამოხატვის თავისუფლება პანდემიის დროს-არსებული გამოწვევები და
კონტროლის მექანიზმები

თამარ კალმახელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ერემაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესებისად შესაბამისად.“

თამარ კალმახელიძე, 19/01/2021

აბსტრაქტი

ახალი კორონავირუსის მასშტაბური გავრცელების შედეგად მსოფლიო და მათ შორის საქართველო, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დადგა. ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას შექმნილი კრიზისის ფონზე ადამიანის უფლებების, კონკრეტულ შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების დაცვა წარმოადგენს. პანდემიის ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად, ინფორმაციის თავისუფლად მიღება/გავრცელებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

წინამდებარე ნაშრომის უპირველესი მიზანია, გამოკვეთოს პანდემიის დროს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით წრმოქმნილი პრობლემები, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე.

ხსენებული მიზნის უზრუნველსაყოფად, კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია საქართველოში პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს მიღებული ღონისძიებები, მათი ეფექტურობა და შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით. საგანგებო ზომების მიღების კვალდაკვალ კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლების დაცვის მნიშვნელოვან როლს კრიზისის დროს. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ფონზე ქვეყანაში განხორციელებული პროცესები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო სათანადოდ ვერ პასუხობს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან დაკავშირებულ ძირითად გამოწვევებს.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ სახელმწიფოები ქმნიან კონსპირაციულ თეორიებს და არაპროპორციულად ზღუდავენ გამოხატვის თავისუფლებას, როგორც ფუნდამენტურ უფლებას. ქვემოთ მოყვანილი ქვეყნების მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კორონავირუსთან დაკავშირებული ინფორმაციის თავისუფლად ფლობა და გავრცელება კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება პანდემიის პერიოდში.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: პანდემია, გამოხატვის თავისუფლება, საგანგებო მდგომარეობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

Abstract

The whole world, including the Republic of Georgia, have been faced with a number of significant challenges after the spread of the new Coronavirus. During the Coronavirus crisis, protecting freedom of expression as one of the fundamental human rights has been named as a serious challenge. Receiving and spreading of information around the new virus presents an effective mean to cope with the pandemic situation.

The objective of this thesis is to demonstrate the problems caused by the restrictions on the freedom of expression in Georgia as well as in the international area.

To fulfill the above mentioned objective, the research, carried out during the work, analyzes the events invented in Georgia during the emergency actions caused by the pandemic scenarios. It also considers the effectiveness of those events and their accordance to Georgian constitution and international standards. The freedom of expression has once again been underlined as a basic aspect of human rights after proclaiming the emergency actions. According to the epidemiological reality of Georgia, we could say that the country could not deal with protecting the basic human rights.

Since studying international practice, we could mention that a number of countries create conspiracy theories and disproportionately restrict the freedom of expression of their citizens. Based on the examples represented in the next paragraphs, it could be said that receiving and spreading the information between the masses over the Coronavirus still remains the unsolved problem in this pandemic period.

Key/searching words: pandemy, freedom of expression, state of emergency, access to information